დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“ (შემდგომში - ბიბლიოთეკა).

2. ბიბლიოთეკა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაწესებულებას, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს კანონის „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და წინამდებარე წესდების საფუძველზე.

3. ბიბლიოთეკას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შტამპი, მრგვალი ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით, ვებგვერდი, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო, სახაზინო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საბანკო დაწესებულებებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4. ბიბლიოთეკა უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად თანასწორობის საფუძველზე გაერთიანდეს კავშირში, საზოგადოებრივ მოძრაობაში, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა გაერთიანებაში.

5. ბიბლიოთეკას უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, სამეცნიერო კვლევითი ფონდები, რომლებიც იმოქმედებენ ბიბლიოთეკის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე, აგრეთვე განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა.

6. ბიბლიოთეკას შეუძლია ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო კონტაქტები სხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს მათთან შესაბამისი შეთანხმებები, მემორანდუმები, ხელშეკრულებები, კონტრაქტები, მონაწილეობა მიიღოს იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც შეესაბამება მიზნებს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს.

7. ბიბლიოთეკის სამეურნეო წლად ითვლება კალენდარული წელი.

8. ბიბლიოთეკა დამოუკიდებელია თავისი დამფუძნებლის, ასევე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან და პასუხს არ აგებს მათი ვალდებულებებისათვის ისევე, როგორც ისინი პასუხს არ აგებენ ბიბლიოთეკის ვალდებულებებისათვის.

9. ბიბლიოთეკის დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ.

10. ბიბლიოთეკას საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც განაგებს და მოიხმარს დანიშნულებისამებრ, თავისი მიზნების მისაღწევად. ბიბლიოთეკას უფლება აქვს იყოს მხარე გარიგებაში, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

11. ბიბლიოთეკა იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

12. ბიბლიოთეკის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქ.7.

13. ბიბლიოთეკის ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@tml.ge

მუხლი 2. ბიბლიოთეკის მიზნები

ბიბლიოთეკის მიზნებია:

ა) ყველა ასაკის მკითხველისთვის (შემდგომში – მომხმარებელი) საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაწევა;

ბ) მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნილების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ინტერესების სრულად და ოპერატიულად დაკმაყოფილება;

გ) საბიბლიოთეკო ფონდებისა და სხვა რესურსების სრულად და ეფექტურად გამოყენება, პროფილის ფარგლებში ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მასალების მოპოვება, დამუშავება და გამოცემა;

დ) საზოგადოების კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეტიკური განვითარების სრულყოფის ხელშეწყობა;

ე) შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა, პოპულარიზაცია, მკითხველთა მომსახურება როგორც ადგილზე, ასევე ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის მეშვეობით;

ვ) სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელება და აქტიური მონაწილეობის მიღება სოციალურ პროექტებში;

ზ) მკითხველის წიგნთან დაბრუნების და ამ სფეროში მიმდინარე პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა;

თ) კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებებთან, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის ბიბლიოთეკებთან და მსგავს ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა;

ი) დამატებითი დაფინანსების მოძიება ქართული და უცხოური ფონდებიდან;

კ) ბიბლიოთეკის მომსახურებისა და დამხმარე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხის განსაზღვრა მხოლოდ დამფუძნებელთან შეთანხმებით;

ლ) დასახული მიზნის მისაღწევად სხვა უფლებამოსილებების განხორციელება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ წესდებასა და მოქმედ კანონმდებლობას;

მ) ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა;

ნ) თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო სივრცის შექმნა, რომელშიც მომხმარებელს საშუალება ექნება ისარგებლოს მრავალფეროვანი ფონდით (როგორც წიგნადი (მატერიალური), ისე ელექტრონული რესურსებით).

მუხლი 3. ბიბლიოთეკის უფლებამოსილებები

1. ბიბლიოთეკა უფლებამოსილია:

ა) მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე საკუთარი სახელით განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობები, დადოს გარიგებები, საკუთარი სახელით გამოვიდეს მესამე პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და სასამართლოში, გადაწყვიტოს მის გამგებლობას მიკუთვნებული მართვისა და ყველა სხვა საკითხი;

ბ) დამფუძნებელთან შეთანხმებით, დააფუძნოს სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი/პირები, რომელსაც/რომელთაც განუსაზღვრავს საქმიანობის სამოქმედო გეგმას, ინსტრუქციას და ძირითად მიმართულებას, რომელთაც გადასცემს მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ სახსრებს და ქონებას;

გ) შექმნას საბიბლიოთეკო სფეროს საინფორმაციო ბანკი პროფილის მიხედვით;

დ) გაუწიოს საბიბლიოთეკო მომსახურება სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და უზრუნველყოს ისინი შესაბამისი ინფორმაციით;

ე) მოამზადოს და ჩაატაროს ტრენინგები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებები;

ვ) მოამზადოს და დამფუძნებელს წარუდგინოს წინადადებები საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;

ზ) წარმართოს საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებამოსილებები;

ი) დაიცვას საბიბლიოთეკო სფეროში დადგენილი სტანდარტები;

კ) იზრუნოს პროფილის შესაბამისად საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნთგაცვლითი ურთიერთობების დამყარებაზე;

ლ) უზრუნველყოს მომხმარებელთა დიფერენცირებული მომსახურება სტაციონარული და არასტაციონარული მუშაობის ფორმების გამოყენებით, ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის მეშვეობით გაითვალისწინოს მკითხველთა შეხედულებები, ინტერესები, მოთხოვნები და წინადადებები;

მ) აწარმოოს საბიბლიოთეკო ფონდების სრული აღრიცხვა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად და პერიოდულად მისი გამოთავისუფლება შინაარსობრივად მოძველებული და ფიზიკურად უვარგისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებისაგან მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;

ნ) საბიბლიოთეკო ფონდების სისტემატიზაცია და კატალოგიზაცია დაუქვემდებაროს არსებულ სტანდარტებს;

ო) იზრუნოს ბიბლიოთეკაში ახალი საბიბლიოთეკო ტექნოლოგიური პროცესების (კატალოგიზაციის, ბიზნეს-ინფორმაციის მოპოვებისა და სხვ.) დანერგვასა და განხორციელებაზე;

პ) აწარმოოს სტატისტიკა საბიბლიოთეკო სფეროში არსებული წესის შესაბამისად;

ჟ) შეიმუშაოს სტატისტიკის წარმოების ელექტრონული ვერსიები.

მუხლი 4. ბიბლიოთეკის დამფუძნებლის უფლებამოსილებანი

1. დამფუძნებელი უფლებამოსილია:

ა) დაამტკიცოს ბიბლიოთეკის წესდება, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ) თანამდებობაზე დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს ბიბლიოთეკის დირექტორი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია დირექტორისაგან ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასცეს ბიბლიოთეკას ფინანსური სახსრები და ქონება, აკონტროლოს მათი გამოყენების მიზნობრიობა;

ე) მისცეს თანხმობა დირექტორს ბიბლიოთეკის სხვადასხვა სახის პროგრამებში, ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების თაობაზე, ასევე სხვადასხვა სახის ორგანიზაციებში (გაერთიანებებში) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში გაწევრიანების შესახებ;

ვ) მოისმინოს ფინანსური და მართვის პოლიტიკის განხორციელების შესახებ ანგარიშები;

ზ) დაამტკიცოს ბიბლიოთეკის დაფინანსების ბიუჯეტი და ბიბლიოთეკის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მასში ცვლილებები და დამატებები;

თ) განიხილოს ბიბლიოთეკის დირექტორის მიერ ბიუჯეტის ათვისების, ასევე საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში;

ი) მიიღოს გადაწყვეტილება ბიბლიოთეკის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;

კ) გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით არ განეკუთვნება ბიბლიოთეკის დირექტორის კომპეტენციას.

2. მხოლოდ დამფუძნებლის წინასწარი თანხმობით არის შესაძლებელი:

ა) ბიბლიოთეკის მიერ უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება /გაცემა;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისთვის გამოსაყოფი სახსრების, ბიბლიოთეკის მიერ შესაძენი საწვავის და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებათა მიღება ბიბლიოთეკის ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 5. ბიბლიოთეკის სტრუქტურა

1. ბიბლიოთეკის სტრუქტურა მოიცავს ბიბლიოთეკის დირექტორს, ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულებს (შემდგომში - სტრუქტურული ერთეულები).

2. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის, ბიბლიოთეკის თანამშრომლების, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მიმართულებებს განსაზღვრავს ბიბლიოთეკის დირექტორი.

3. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბიბლიოთეკის დირექტორი.

4. ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობენ მენეჯერები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბიბლიოთეკის დირექტორი.

მუხლი 6. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

ბიბლიოთეკის დირექტორი:

ა) ახორციელებს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას, პასუხისმგებელია მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე;

ბ) ბიბლიოთეკის მიზნების მისაღწევად იყენებს ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ასევე ანგარიშზე ჩარიცხულ მატერიალურ სახსრებს. ამასთან, პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივად და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, როგორც დამფუძნებლების ასევე კონკრეტული დამფინანსებლის წინაშე;

გ) მოქმედებს ბიბლიოთეკის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ;

დ) ბიბლიოთეკის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს გასცემს მინდობილობებს, დამფუძნებლის წინასწარი თანხმობით იძენს და განკარგავს ბიბლიოთეკის უძრავ ქონებას;

ე) დამფუძნებელთან ერთად ზედამხედველობს ბიბლიოთეკის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;

ვ) ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს ბიბლიოთეკის საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს აქტებს, ამტკიცებს ბიბლიოთეკის შინაგანაწესს, ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს;

თ) განსაზღვრავს ბიბლიოთეკის საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს, რომელთაც შესათანხმებლად წარუდგენს დამფუძნებელს;

ი) ნიშნავს და ათავისუფლებს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, კანონის ფარგლებში მათ მიმართ იღებს დისციპლინარულ ზომებს, განსაზღვრავს ფულადი ჯილდოს გაცემის საკითხებს ან სხვაგვარი წახალისების საკითხებს;

კ) ბიბლიოთეკის წინაშე მდგარი რიგი საკითხების გადასაწყვეტად ქმნის დროებით სამუშაო ჯგუფებს, კომისიებს;

ლ) იღებს შესაბამის ზომებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, ან მატერიალურ ზარალს აყენებენ ბიბლიოთეკას;

მ) ახორციელებს „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" საქართველოს კანონით, ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 7. ბიბლიოთეკის ქონება, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ბიბლიოთეკის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

2. კანონმდებლობით დადგენილი წესით ბიბლიოთეკის სახსრები იქმნება:

ა) დამფუძნებლის მიერ გადაცემული ქონებით ან სახსრებით;

ბ) დამფუძნებლის შენატანებით/შემოწირულობებით;

გ) დამხმარე სახის კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლებით;

დ) ადგილობრივი და უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების უსასყიდლო და საქველმოქმედო შემოწირულობებით;

ე) გრანტებით;

ვ) სხვადასხვა ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებით;

ზ) სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

3. ბიბლიოთეკას შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს შენობა-ნაგებობები, ფართი შენობა-ნაგებობაში, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, საცხოვრებელი ფონდი, მოწყობილობა, ინვენტარი და სხვა ქონება, რაც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

4. საკუთარი მიზნების მისაღწევად ბიბლიოთეკას უფლება აქვს განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომელთა საქმიანობიდან მიღებული მოგება გამოიყენება მხოლოდ წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და მისი განაწილება ბიბლიოთეკის დამფუძნებლებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

5. ბიბლიოთეკა მისთვის გადაცემულ ქონებას და სახსრებს ფლობს, იყენებს და განკარგავს წესდებით დადგენილი მიზნების შესაბამისად.

მუხლი 8. ბიბლიოთეკის წესდების მოქმედების, გადასინჯვის გაუქმების და მასში ცვლილებების შეტანის წესი

1. ბიბლიოთეკის წესდება მოქმედებს ბიბლიოთეკის საქმიანობის ყველა სფეროში, მისი დაცვა სავალდებულოა დამფუძნებლისა და ყველა ხელმძღვანელი პირისთვის;

2. წესდებაში ცვლილების შეტანა, ასევე ახალი წესდების მიღება ბიბლიოთეკის დამფუძნებლის უფლებამოსილებაა.

მუხლი 9. ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ბიბლიოთეკის რეორგანიზაციის (შერწყმა, გაყოფა, გამოყოფა, სამართლებრივი ფორმის შეცვლა) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ბიბლიოთეკის ლიკვიდაცია ხდება:

ა) დამფუძნებლის გადაწყვეტილებით;

ბ) რეგისტრაციის გაუქმებისას;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. ბიბლიოთეკის ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.